ვის შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავების შემთხვევაში?

პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების შემთხვევაში, მიმართეთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების მაკონტროლებელ ორგანოს - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

მისამართი: ***საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის №7, 0105***

ტელეფონის ნომერი: ***(+995 32) 242 1000***

ვებგვერდის მისამართი: ***www.sis.gov.ge***

ელ. ფოსტის მისამართი: ***office@stateinspector.ge***

დოკუმენტი მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს გაეროს განვითარების პროგრამის მოსაზრებებს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

ბავშვის დაბადების რეგისტრაცია

დაბადების მოწმობა თქვენი პატარას პირველი ოფიციალური დოკუმენტია. აღნიშნულ დოკუმენტში, რომელიც დაბადების ფაქტს ადასტურებს, მითითებულია თქვენი შვილის პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, პირადი ნომერი, სქესი, ინფორმაცია მოქალაქეობის შესახებ, ინფორმაცია მშობლების შესახებ (მათი სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია.

თქვენ პატარას დღეიდან აქვს საკუთარი პერსონალური მონაცემები, რომელთა უკანონო გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, გამოუსწორებელი ზეგავლენა მოახდინოს მის შემდგომ ცხოვრებაზე და შეზღუდოს მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს.



რა რისკები და საფრთხეები არსებობს?

პირადი ნომერი, სახელი, გვარი და დაბადების მოწმობაში მითითებული სხვა პერსონალური მონაცემები იძლევა პირის იდენტიფიცირების, სხვა პირებისაგან გამორჩევის შესაძლებლობას.

ვინაიდან დაბადების მოწმობაში მითითებული პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენების მრავალი რისკი არსებობს, საჭიროა გაუფრთხილდეთ მათ და დაიცვათ ისინი მესამე პირებისაგან.

ვინაიდან თქვენს პატარას საკუთარი უფლებების დაცვა დამოუკიდებლად არ შეუძლია, მისი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებაზე და დაცვაზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

როგორ უნდა დაიცვათ ბავშვის პერსონალური მონაცემები?

- *მოერიდეთ ახალშობილის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის (მათ შორის, ბავშვთა კვების/ ჰიგიენის სარეკლამო კომპანიებისთვის) გამჟღავნებას;*
- *მოერიდეთ ახალშობილის ფოტოებისა და ვიდეოჩანაწერების ინტერნეტში განთავსებას;*
- *თუ მაინც გადაწყვეტთ ბავშვის ფოტოებისა და ვიდეოჩანაწერების ინტერნეტში განთავსებას, გაანალიზეთ რა მიზნით შეიძლება მოხდეს მათი გამოყენება;*
- *ნუ გაასაჯაროებთ ახალშობილის დოკუმენტებს ინტერნეტში და სოციალურ ქსელში;*
- *ნუ გაუმჟღავნებთ ბავშვის პერსონალურ მონაცემებს მესამე პირებს, მათ შორის, ინტერნეტ გვერდების მეშვეობით;*
- *თუ გთხოვენ ბავშვის პერსონალური მონაცემების გაზიარებას, დაინტერესდით ვის მიერ და რა მიზნით მოხდება მათი გამოყენება;*
- *უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ბავშვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს და მათ ასლებს;*
- *გამოყენების შემდგომ, გაანადგურეთ ბავშვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები;*
- *ბავშვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი შეინახეთ უსაფრთხო და დაცულ ადგილას.*

რისი უფლება გაქვთ?

თქვენი ახალშობილის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, უფლება გაქვთ:

- *მოითხოვოთ ინფორმაცია, თუ რა მიზნით და საფუძვლით ითხოვენ მის პერსონალურ მონაცემებს;*
- *მოითხოვოთ ინფორმაცია, რამდენად აუცილებელია მომსახურების გაწევისთვის ბავშვის პერსონალური მონაცემების მიწოდება;*
- *მოითხოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ გადაეცემა თუ არა ბავშვის პერსონალური მონაცემები მესამე პირებს;*
- *მოითხოვოთ დოკუმენტში შეცდომით დაფიქსირებული ან მოძველებული პერსონალური მონაცემის გასწორება და განახლება;*
- *მოითხოვოთ უსაფუძვლოდ მოპოვებული პერსონალური მონაცემების წაშლა ან/და განადგურება;*
- *უკან გაითხოვოთ თქვენ მიერ ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობა.*